



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

№ 38

21

04

2017 წელი

**მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 31 მარტის N03/3394  
 წერილის განხილვის შესახებ.**

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 თებერვლის სხდომის N7 ოქმის მე-3 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 31 მარტის N03/3394 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის, 24-ე და 54-ე მუხლის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე და 61-ე მუხლების საფუძველზე

1. შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 თებერვლის N20 განკარგულების N1 დანართის N12-ში და ზედამხედველობის სამსახურისათვის გამოყოფილი 600 ლიტრი საწვავის ოდენობა განაწილდეს შემდეგნაირად: 450 ლიტრი ბენზინი და 150 ლიტრი დიზელი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2017 წლის 01 მაისიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ.მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა №4), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი